პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 121 (4631)

1972 წ. 22 ივნისი, ხუთშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

## ჩვენი ძმური რესპუბლიკები

### კომბინატის „სპორტული საამქრო"

იმანის ხის დამმუშავებელ კომბინატში მზადაა რიგით მეთვრამეტე საამქრო. ასე უწოდებენ ვრცელ სპორტულ კომპლექსს, რომელიც საწარმოს ფიზკულტურელებმა საკუთარი ძალით მოაწყვეს. კომპლექსში შედის ფეხბურთის მინდორი, კალათბურთის, ფრენბურთისა და რიკაობის მოედნები.

იმანის კომბინატი თავისი დარგის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწარმოა შორეულ აღმოსავლეთში. აქ 3 ათასზე მეტი კაცი მუშაობს და მათმა დიდმა ნაწილმა უკვე დაიწყო „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მზადება.

იმანი.

### ძმა ძმისთვისაო..

ტაჯიკეთის მშვილდოსანთა ღია ჩემპიონატში ქალთა შორის გაიმარჯვა ყაზახეთის წარმომადგენელმა ვ. კუზნეცოვამ, რომელმაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს გადააჭარბა.

ტაჯიკეთის ვაჟთა გუნდი ულიდეროდ გამოდიოდა — ასპარეზობაში ქვეყნის ნაკრების წევრი ა. ბანჟინი არ მონაწილეობდა. გაიმარჯვა ყირგიზეთის წარმომადგენელმა ი. ერესკომ, უმცროსმა პანჟინმა კი — ვალერიმ — ვერცხლის მედალი მოიგო.

დუშანბე.

### ტურიზმის მოყვარულთათვის

შორეულ აღმოსავლეთში გაიშალა ორი ახალი ტურისტული ბაზის მშენებლობა. ერთი — „წყნარი ოკეანე" — ვლადივოსტოკის საკურორტო ზონაში შენდება, მეორე კი იაპონიის ზღვის სანაპიროზე — შამორის ყურეში. ორივე ბაზა 1973 წელს ჩადგება მწყობრში.

მარტო ვლადივოსტოკში წლეულს 200 ათას მოგზაურობის მოყვარულს მოელიან. სტუმრები ნახავენ ლოტოსის ყვავილობას, „მძინარე მზეთუნახავის" მღვიმეს. დაისვენებენ ცივ ნაკადულებთან და აჟღარღალებული კალმახის ცქერით დატკბებიან...

ახალი ტურისტული ბილიკები გადის შორეული აღმოსავლეთის ჩრდილოეთ რაიონებში. აქ შედის ქალაქი არსენიევი, მეშახტეთა დაბა ტეტიუხე, ახალგაზრდობის ქალაქი ლუჩეგორსკი და სხვ.

ვლადივოსტოკი.

### ბურიატთა ზუსტი ისრები

ჩატარდა ბურიატეთის აგინის ეროვნული ოლქის სპარტაკიადა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში ათი სახეობა შედიოდა. 200 კაცზე მეტმა შეასრულა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივები.

დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მ. დაბაევისა და გ. არხიპოვას გამოსვლამ. ამ მშვილდოსნებმა თავიანთი რეკორდები გააუმჯობესეს 70-მეტრიან დისტანციაზე.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა.

ჩიტა.

## რაიონების სპორტული ცხოვრებიდან

### ✦ საჩხერე

ახლახან აქ გაიმართა რაიონის ფიზკულტურელთა აქტივის კრება, რომელმაც იმსჯელა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალ კომპლექსთან დაკავშირებით რაიონის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ამოცანებზე. მოხსენებით გამოვიდა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე დ. გოშაძე. აქტივის მონაწილეებმა მიიღეს სათანადო დადგენილება.

ა. ანასაშვილი.

### ✦ ცაგერი

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსი და რაიონის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ამოცანები" — ეს საკითხი განიხილა ახლახან გამართულმა რაიონის ფიზკულტურული აქტივის კრებამ, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე გ. ხვადაგიანი.

ბ. ნათაძე.

### ✦ ზესტაფონი

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა ზესტაფონისა და თელავის მოზარდ მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა, რომელიც ადგილობრივ კულტურის სახლში გაიმართა. შეჯიბრებამ ზესტაფონელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან მსგავსი ასპარეზობა პათ კარგა ხანია არ უნახავთ. ბრძოლები მეტად დაძაბული იყო. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:3. უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ზესტაფონელმა მოკრივეებმა საკმაოდ აიმაღლეს კლასი, რაც მწვრთნელ გ. სარქისოვის მონდომებული შრომის ნაყოფია.

ა. ბანუგრავა.

## სხვაობა შემცირდა

ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩის XIV პარტია გადადებული იყო ქვემოთ მოყვანილ მდგომარეობაში.



თეთრებით მოთამაშე კუშნირმა გადადებისას უძლიერესი სვლა ჩაიწერა. მსოფლიო ჩემპიონმა სცადა ეტლითა და მხედრით მუქარა შეექმნა მეტოქის მეფისთვის და კონტრთამაშის საშუალება მიეღო. კუშნირი ძალიან ზუსტად თამაშობდა და ეტლების ენდშპილში ორი ზედმეტი პაიკი მიიღო. პარტიის დასკვნითი ნაწილი პრეტენდენტმა უშეცდომოდ ჩაატარა და გაიმარჯვა კიდეც.

ამრიგად, დასკვნითი ორი პარტიის წინ ანგარიში გახდა 7,5:6,5 მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.

აი, როგორ დამთავრდა XIV პარტია:

**41. მf7 (ჩაწერილი სვლა) ეa8 42. მg5 მd4 43. h4 ეa2 44. h5 მf5+ 45. მფh3 ეa3+ 46. მფh2 d4 47. მ:e6+ მფg8 48. ეb5 მc3 49. ეg5+ მფf7 50. მ:d4 ეa4 51. მe2 ეa2 52. მc3 ეf2 53. მd5 მ:d5 54. ე:d5 ე:f4 55. მფh3 მფf6 56. g3 ეf1 57. მფg4 ეf2 58. ეd6+ მფe7 59. ეa6 ეb2 60. მფh4 მფf7 61. g4 მფg7 62. h6+ მფh7 63. მფh5 ეb5+ 64. g5 ეc5 65. ეa7+ მფh8 66. ეe7 ეc8 67. g6 ეc5+ 68. მფg4 ეc4+ 69. მფf5 ეc8 70. მფe6 ეa8 71. ეd7 ეe8+ 72. მფf7 ეg8 73. g7+ მფh7 74. ეe7** შავები დანებდნენ.

• • •

გუშინ უნდა გამართულიყო მატჩის XV პარტია, მაგრამ ა. კუშნირის ავადმყოფობის გამო იგი არ შედგა. მოგაგონებთ, რომ პრეტენდენტმა გამოიყენა ავადმყოფობის გამო პარტიის გაცდენის ბოლო, მესამე ცდა, გაფრინდაშვილს კი ერთხელ კიდევ შეუძლია „წუთშესვენების" აღება.

დარჩენილ ორ პარტიაში მსოფლიო ჩემპიონს ნახევარი ქულაც ჰყოფნის წოდების შესანარჩუნებლად, კუშნირმა კი აუცილებლად ორივე პარტია უნდა მოიგოს.

მატჩის შემდეგი სათამაშო დღეა პარასკევი, 23 ივნისი.

## იშვიათი შემთხვევა

კიევი, 20 ივნისი. დღეს აქ დამთავრდა ოთხი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის სპორტსმენთა ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში.

პროგრამის ბოლო სახეობის — 4 კმ-ზე მძლეოსნური კროსის წინ ლიდერობდა მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორი, მოსკოვის არმიელი პ. ლედნიოვი (4176 ქულა), რომელიც მსოფლიო ჩემპიონს, კიეველ ბ. ონიშჩენკოს სულ 17 ქულით უსწრებდა. ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა, როგორ დამთავრდებოდა საბჭოთა ქვეყნის ორი უძლიერესი ხუთჭიდელის დუელი. ორივე საუცხოო მორბენალია, მაგრამ ონიშჩენკო კვენჭისყრით ბოლოს მირბოდა და ეს გარკვეულ უპირატესობას აძლევდა — სხვების შედეგებზე შეეძლო ორიენტირება. ამიტომ სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ ტურნირში გამარჯვება ონიშჩენკოს ხვდებოდა.

ასეც მოხდა. ლედნიოვმა ძნელი, ნაწვიმარი ტრასა 12 წუთსა და 50 წამში გაირბინა, ონიშჩენკომ კი დღის საუკეთესო შედეგი — 12.44 — აჩვენა. ამან იგი I ადგილზე გაიყვანა. ონიშჩენკომ ქულათა შესანიშნავი ჯამი (5432) დააგროვა და თავისი მეტოქე ჩამოიტოვა... 1 ქულით. იშვიათი შემთხვევაა!

III ადგილი ასევე საბჭოთა სპორტსმენს გ. ფროლენკოს ხვდა. კიეველმა ვეტერანმა 5369 ქულა მოაგროვა.

სტუმრებიდან საუკეთესო იყო სახელგანთქმული უნგრელი ხუთჭიდელი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ა. ბალცო — 5065 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილზეა უკრაინის ნაკრები — 16066, II — კიეველთა კოლექტივი — 14713, III — გფრ-ის გუნდი — 14673.

## საზღვარგარეთ — მოკლე ინფორმაცია

### 19.45

◆ ნიუ-იორკი, 21 ივნისი. სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ზანგმა სპორტსმენმა რ. ბიმონმა (აშშ) განაცხადა, რომ თავს ანებებს მძლეოსნობას. 25 წლის სპორტსმენი ამ დასკვნამდე მივიდა ზამთრისა და ზაფხულის სეზონების შეჯიბრებებში უხეირო გამოსვლების შემდეგ, როცა იგი ამაოდ ცდილობდა მიუნხენის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ნორმატივის (787 სმ) შესრულებას. მეხიკოში ზღაპრული ნახტომის (890 სმ) შემდეგ ჩემპიონი, რომელსაც ტრავმები სტანჯავდა, ვერც ერთხელ ვერ წააახლოვდა თავის მიღწევას. ახლა ბიმონი პროფესიონალი კალათბურთელის კარიერაზე ოცნებობს. თუმცა მან ისიც თქვა: „მე რომ რომელიმე სპორტსმენს ვხედავდე, ვინც ჩემს რეკორდს სერიოზულად დაემუქრებოდა, დავრჩებოდი და შევეცდებოდი საუკეთესო მხტომელის ტიტულის შენარჩუნებას".

◆ ბელოსტოკი, 21 ივნისი. ახალგაზრდა ველოსიპედისტთა საერთაშორისო ტრადიციული მრავალდღიანი რბოლის — „მეგობრობის" VI ეტაპი, რომლის დაძლევისას მოასპარეზეებმა საბჭოთა კავშირ — პოლონეთის საზღვარი გადაკვეთეს, 22 წლის პოლონელმა ე. გლოვაცკიმ მოიგო. 118 კმ მან 3 საათში, 2 წუთსა და 15 წამში დაფარა (საშუალო სიჩქარე — 43,3 კმ საათში). ველორბოლას კვლავ დ. კლეცინი (გდრ) ლიდერობს — 15:01.54. პირველ სამეულში არიან, აგრეთვე, მ. ნოვიცკი (პოლონეთი) — 15:01.56 და ა. კაშინი („ავტომობილისტი", ლიტვა) — 15:03.08.

◆ ბერლინი, 21 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონმა ე. რაპმა (ომსკი) გაიმეორა ადგილობრივი ტრეკის თავისივე რეკორდი — 1.08,8. ამ შედეგით მან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდების მატჩში გაიმარჯვა 1000 მეტრზე ვიტში. სპრინტერული რბოლის ფინალში კუიბიშეველმა ვ. ტრიფონოვმა გერმანელ ზ. შრაიბერს აჯობა. მინსკელმა ა. ედოვინმა და ტულელმა ვ. კოპილოვმა სძლიეს მასპინძელთა ტანდემს — როტლუფსა და რიხტერს. ასწრიან რბოლაში (33,3 კმ) პირველ სამ ადგილზე საბჭოთა ველოსიპედისტები გავიდნენ: ტაშკენტელი ა. რუდინი (41.06,2), კიშინიოველი ა. ხრისტენოკი და მინსკელი ვ. ბიკოვი. გამოდევნებით გუნდურ რბოლაში გაიმარჯვეს გერმანელებმა — 4.34,8 საბჭოთა სპორტსმენების დროა 4.35,5.

## რეიკიავიკისკენ

მოსკოვი, 21 ივნისი. დღეს რეიკიავიკში გაფრინდა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ბ. სპასკი. ისლანდიის დედაქალაქში მასთან ერთად გაემგზავრნენ საერთაშორისო დიდოსტატი ე. გელერი (სეკუნდანტი), სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენლები — საერთაშორისო დიდოსტატი ნ. კროგიუსი და საერთაშორისო ოსტატი ი. ნეი.

როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, ფიშერი რეიკიავიკში ჩახვლას 24 ივნისს აპირებს.

გაგახსენებთ — 2 ივლისს ისლანდიის დედაქალაქში სტარტს აიღებს მატჩი მსოფლიო პირველობაზე: სპასკი — ფიშერი.

## ოთხჯერ 3626 ქულა!

სტრასბურგში (საფრანგეთი) ამას წინათ გაიმართა მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც მიუნხენის ოლიმპიადის წინ ძალთა ერთგვარი შემოწმება იყო. სსრ კავშირის სპორტსმენებმა ამ ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზეს — როგორც ქალთა, ისე ვაჟთა კოლექტივებმა გუნდური პირველობა დაისაკუთრეს და, პირად ტურნირშიც ყველა საპრიზო ადგილს დაეპატრონნენ.

სსრ კავშირის ქალთა ტრიომ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ე. კოვპანი, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ე. გაპჩენკო და ქუთაისის პედინსტიტუტის ლაბორანტი ქ. ლოსაბერიძე, „მ-1" ვარჯიშის ჯამში 3626 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი 108 ქულით სჯობს პოლონელთა მიერ ამას წინათ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

პირად ტურნირში კოვპანმა იმარჯვა — 1221 ქულა. მანვე 30 მეტრიდან სროლაში 340 ქულა მოაგროვა, რაც საკავშირო რეკორდია და 2 ქულით აღემატება შვედ ა. ბერგლუნდის მიერ 1971 წელს დამყარებულ ოფიციალურ მსოფლიო მიღწევას.

„მ-1" ვარჯიშის ჯამში ამერიკელი ნ. მირიკის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს (1208 ქულა), რომელიც 1967 წელს დამყარდა, კოვპანის გარდა სტრასბურგის ტურნირის მეორე პრიზიორმა გაპჩენკომაც (1211) გადააჭარბა.

III ადგილზე გავიდა ლოსაბერიძე — 1194 ქულა. ქუთაისელი სპორტსმენის ეს მაჩვენებელი 17 ქულით აღემატება საქართველოს ძველ რეკორდს, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის აბსოლუტურ ჩემპიონს, თბილისელ ლ. ასატუროვას ეკუთვნოდა. ლოსაბერიძემ ცალკეულ დისტანციებზე ასეთი შედეგები მოიპოვა: 70 მეტრზე — 286 ქულა (საქართველოს რეკორდს 2 ქულით ჩამორჩება), 60 მეტრზე — 303 (თავისივე რესპუბლიკური რეკორდი 10 ქულით გააუმჯობესა), 50 მეტრზე — 286, 30 მეტრზე — 319 ქულა.

ვაჟთა შეჯიბრებაში ვ. სიდორუკმა (1223), მ. პეუნოვმა (1209) და ა. პანჟინმა (1194) ჯამში, ისევე როგორც ქალებმა, 3626 ქულა მოაგროვეს. ეს შედეგი ამერიკელი მშვილდოსნების მიერ 1969 წელს დამყარებულ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს 20 ქულით სჯობს.

სსრ კავშირის სპორტსმენები სტრასბურგიდან შვეიცარიაში გაემგზავრნენ, სადაც საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

# მეტი შეუძლიათ

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა იმსჯელა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მდგომარეობაზე. აღინიშნა, რომ რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა (რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ა. ბეროზაშვილი) პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მხარდაჭერითა და დასხარებით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

ფიზკულტურული აქტივის კრებაზე მოისმინეს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში რაიონის სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგები და დასახეს ამოცანები ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. კრებაზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში რესპუბლიკის დელეგაციის 187 წევრი ამ რაიონის წარმომადგენელი იყო. მათ ნაკრების საერთო ნადავლს 527 ქულა (66 პროცენტი) შემატეს.

რაიონის საწარმო-დაწესებულებების 137 ფიზკულტურის კოლექტივში 40.468 კაცია გაერთიანებული. კარგად მუშაობენ თბილისის ტყავსაგალანტერეო ფაბრიკაში (დირექტორი ი. ერისთავი, ფიზკულტურის მეთოდისტი მ. მკერვალიშვილი), „საქქალაქმშენსახპროექტში" (გ. ანდრონიკაშვილი, ა. თუნთია), თბილისის სამშენ მასალათა კომბინატში (ი. ინგოროყვა, ა. აბულაძე).

კომკავშირის რაიკომისა და სპორტკომიტეტის თაოსნობით შარშან პირველად ჩატარდა ტრადიციული შეჯიბრება სახლმმართველობების გუნდებს შორის (ბავშვებისთვის) „ოქროს ბურთის" პრიზზე კალათბურთში და „ვერცხლის ბურთის" პრიზზე ფრენბურთში, რაიონის მცხოვრებლებისთვის ვაკის კულტურისა და დასვენების პარკში ჩამოყალიბებულია „ჯანმრთელობის ჯგუფი", მუშაობს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა (დირექტორი გ. ჩუგუშვილი), რომელშიც 389 ნორჩი სპორტსმენია გაერთიანებული. სკოლაში პოპულარულია ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ბადმინტონი. წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვისთვის.

ამასთან კოლეგიამ აღნიშნა, რომ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობა. 343-დან ფიზკულტურის კოლექტივი მხოლოდ 137 ორგანიზაციაშია შექმნილი. ფიზკულტურული კოლექტივები არ არის, მაგალითად, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის, ჰიგიენისა და შრომის დაცვის, ნახევარგამტართა ფიზიკის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, ტექნიკური ესთეტიკის საკვლევ ინსტიტუტებში.

მრავალი საწარმო-დაწესებულების დირექციები არ ასრულებენ საკავშირო პროფსაბჭოს 1956 წლის 22 ივნისისა და რაიაღმასკომის 1970 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებებს მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში ფიზკულტურის მეთოდისტის შტატის შექმნის შესახებ. დავასახელოთ 2632-ე ავტოკოლონა, № 7 ავტოსატრანსპორტო კონტორა, მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი, შრატებისა და ვაქცინების კვლევითი ინსტიტუტი. თბილისის ინსტრუმენტულ ქარხანაში ფიზკულტურის მეთოდისტი, ამ დარგის სპეციალისტი კ. კალანდაძე რნეს მოვალეობასაც ასრულებს. ალბათ ამიტომ, კოლექტივის ღონისძიებათა გეგმები არ სრულდება, დოკუმენტაცია მოუგვარებელია.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი ორგანიზაციებში დაგეგმვა-აღრიცხვას სათანადოდ ვერ ამოწმებს. თბილისის მსუბუქი ტაქსების № 2 კონტორის, № 1 ავტოსატრანსპორტო კონტორის, შრატებისა და ვაქცინების ინსტიტუტის, 2556-ე ავტოკოლონის, საპროექტო ინსტიტუტების დიდ ნაწილს მარტივი ტიპის მოედნებიც კი არა აქვთ.

ზოგიერთ სახლმმართველობაში ბაზები უყურადღებოდაა მიტოვებული. მაგალითად, №№ 65, 67, 68 და 70 სახლმმართველობების მოედნები უკვე მწყობრიდან გამოდის. რაიონში ცუდადაა სპორტის პროპაგანდის საქმე.

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ორჯონიკიძის რაიონში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო სათანადო დადგენილება.



# იქ, სადაც მუშაობა ჩქეფს



დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა (გამგე ნ. ლაპარტყავა). ამჟამად აქ თითქმის ერთდროულად ტარდება შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა და „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

ამავე დროს, ინსტიტუტის ნაკრები გუნდები სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადაშიც მონაწილეობენ.

შიდასაინსტიტუტო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ 17 სახეობაში ათასამდე სტუდენტმა იასპარეზა. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ მექანიზაციის, სატყეო-სამეურნეო და აგრონომიული ფაკულტეტების წარმომადგენლები.

ჭოკით ხტომაში შეჯიბრება სპორტის ოსტატის შედეგით მოიგო თავრა მ. თათევოსიანმა, რომელმაც მერე ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა ტურნირში 480 სმ სიმაღლე გადალახა, I ადგილი მოიპოვა და საქართველოს რეკორდიც დაამყარა (ცოტა ხნის შემდეგ მან ერთ-ერთ შეჯიბრებაში კიდევ 20 სმ-ით გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი).

გარდა თათევოსიანისა, სპარტაკიადაში გამოდიოდნენ ცნობილი მძლეოსნები ც. ლიპარტელიანი და ც. ჩოლიაშვილი. მათმა მონაწილეობამ, პროფესორ-მასწავლებელთა დიდმა გულმოდგინებამ და კათედრის თანამშრომელთა მუყაითმა გარჯამ თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარებას.

რაც შეეხება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსს, რამდენიმე სახეობაში ნორმატივები უკვე 1300 სტუდენტმა ჩააბარა. აქედან 563 მონაწილეს მხოლოდ ცურვის ნორმატივები დარჩა ჩასაბარებელი...

**რ. საგინაშვილი.**

* * *

**სურათებზე: სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები ჯვრის მონასტრისკენ მიდიან; საინსტიტუტო სპარტაკიადის მონაწილე ფრენბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრის მომენტი.**

**ავტორის ფოტოები.**

## გარჯა დაუფასდათ

**ახლახან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით და სპორტში ნაყოფიერი მუშაობისთვის ინსტიტუტის 9 წარმომადგენელი დაჯილდოვდა ნიშნით „ფიზიკური კულტურისა და სპორტის წარჩინებული". ესენი არიან: ინსტიტუტის რექტორი, სპორტკლუბის თავმჯდომარე ი. სარიშვილი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე ნ. ლაპარტყავა, ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებლები ვ. ბაბილუა, შ. ვასოვსკი, ვ. ვდოვინი, ი. ჯანდიერი, ნ. კიტოვანი, თ. სხირტლაძე და გ. ცხოკლებაშვილი.**

## [illegible]

### ✦ ასპინძა

მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და კალათბურთში. საშუალო სკოლების ფრენბურთელთა შორის პირველობა მოიპოვეს ტოლოშელმა ჭაბუკებმა და ოშორელმა გოგონებმა, რვაწლიანი სკოლების წარმომადგენლებში კი ქველას აჯობეს იდუმალელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა. კალათბურთში ასპარეზობა მარტო საშუალო სკოლებს შორის გაიმართა. პირველობა დაისაკუთრეს ასპინძელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა. მძლეოსნობაში ივლას ასპინძის საშუალო და იდუმალის რვაწლიანი სკოლების სპორტსმენებმა აჯობეს.

**ვ. ცინაძე,**
**ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.**

### ✦ ადიგენი

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობა აბასთუმნის საშუალო სკოლის ნაკრებმა.

**ნ. მამულაშვილი,**
**ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.**



მოსწავლეთა რესპუბლიკური...

# მუშკეტერები რიონის ნაპირებიდან...

ჩვენი გაზეთის ამასწინანდელ ნომრებში ზედიზედ გამოქვეყნდა ცნობები მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ნორჩ ქუთაისელ მოჭიდავეთა გამარჯვებების შესახებ. ბუნებრივია, ამ ძუნწმა საგაზეთო ინფორმაციამ დააინტერესა ფარიკაობის მოყვარულები. მართლაც, უკვე რამდენი წელია რესპუბლიკის ფარიკაობის სიმბოლურ რუკაზე მხოლოდ ერთი „ჭოქმედი" ცენტრი არსებობდა. ვერც მოზრდილთა, ვერც ჭაბუკთა ჩემპიონატებში და ტურნირებში ვერავინ უწევდა ღირსეულ კონკურენციას თბილისელ მუშკეტერებს. ამის თაობაზე სპორტულ პრესაში ბევრი წერილი და მიმოხილვა დაიბეჭდა. და აი, ერთი შეხედვით, მოულოდნელად ქუთაისელებმა ფარიკაობის თითქმის ყველა სახეობაში ჩამოართვეს პირველობა თბილისელებს. ეს ფაქტი მრავალმხრივ საგულისხმოა და სასიხარულო, ვინაიდან, როგორც ჩანს, ქუთაისში — ფარიკაობის ამ ერთ-ერთ უძველეს კერაში — ისევ აღორძინდა მუშკეტერთა სპორტი.

ორიოდე სიტყვა ამ კარგი საფარიკაო ტრადიციების მქონე ქალაქზე. სხვადასხვა დროს ქუთაისმა ეროვნულ ფარიკაობას ბევრი ჩინებული ოსტატი გამოუზარდა. ქუთაისში დაეუფლნენ საფარიკაო ხელოვნებას ცნობილი სპორტსმენები შოთა დვალი, მურმან სათიანი, ოტო მოსიძე, ამირან ბობოხიძე, მაყვალა კოხრეიძე, შოთა სულაძანიძე... მათი უმეტესობა წარმატებით იცავდა რესპუბლიკის ღირსებას საკავშირო სარბიელზე. შემდეგ ქუთაისი როგორღაც ჩამორჩა ფარიკაობის განვითარების სწრაფ ტემპს. ჯერ იყო და ეს ქალაქი იმდენ სპორტსმენს აღარ უზრდიდა რესპუბლიკის ნაკრებს, ნერე ეს „დახმარებაც" თითქმის შეწყდა.

ჰქონდა თუ არა ამ ჩამორჩენას ობიექტური მიზეზები? შემთხვევით არაფერი ხდება. ბოლო წლებში ქუთაისელთა წარუმატებლობა გამოწვეული იყო სპორტული ბაზებისა და საფარიკაო ინვენტარის არა მარტო უკმარობით, არამედ უქონლობითაც. განა შეიძლება ექსტრა-კლასის სპორტსმენების გამოზრდა ისეთ ქალაქში, სადაც მხოლოდ ერთადერთი დარბაზია (თუ კი შეიძლება მას დარბაზი ვუწოდოთ), სადაც არც შხაპია და არც საფარიკაო ბილიკი ეგება? ზამთარში ამ დარბაზში ვარჯიში კოვლად შეუძლებელია, რადგან მარტო სპორტულ ფორმაში გამოწყობილი კაცი იქ ვერ გაჩერდება: სიცივე ძვალრბილში ატანს. ნორმალურ საფარიკაო ინვენტარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მოდით და მოსთხოვეთ მწვრთნელებს ასეთ პირობებში კარგი ოსტატების გამოზრდა.

შეიძლება იკითხოთ, მაშ რანაირად ახერხებდა ქალაქი წინა წლებში ხეირიანი მოფარიკავეების აღზრდასა და მომზადებას? საქმე ისაა, რომ კარგველ პერიოდში ფარიკაობა „აკვანში" იწვა. შემდეგ დაიწყო მისი არსახული განვითარება. მარტო მონდომება და ენთუზიაზმი საკმარისი აღარ იყო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში მოფარიკავეთა აღზრდას წლიდან წლამდე ერთადერთი მწვრთნელი გალაკტიონ ჩიქოვანი უძღვებოდა. დაგვეთანხმებით, რაოდენ მონდომებული და ნიჭიერიც უნდა იყოს მწვრთნელი, მარტოდმარტო ასეთ ზღვა სამუშაოს ვერ აუვა.

„რა ჰქნას კარგმა მონარდემ?"... ამ გამოთქმას ხშირად ვიშველიებთ ხოლმე მსგავსი შემთხვევების დროს. რა ქნას და უნდა გააათკეცოს მონდომება და მიზანსწრაფვა, უნდა გადალახოს ყველა სიძნელე. ძნელია? ძალიან ძნელია, მაგრამ თურმე შეუძლებელი არ ყოფილა. სწორედ ეს დაადასტურა თბილისში გამართულმა მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ.

მაშ ასე, სპარტაკიადის მთავარი პრიზები პირად ტურნირში მკვირცხლმა, აზარტულმა და მონდომებულმა ქუთაისელმა ნორჩებმა დაისაკუთრეს: მათ გაიმარჯვეს რაპირისტ ჭაბუკთა, ხმლითა და დაშნით ასპარეზობაში (რაპირისტ გოგონებში ყველას აჯობა თბილისელმა მ. გუჯაძემ).

ვიდრე სპარტაკიადის ტრიუმფატორებს გაგაცნობდეთ, მოკლედ მოგახსენებთ ამ წარმატების მიზეზებზე.

უპირველეს ყოვლისა ქების ღირსნი არიან ახალგაზრდა ქუთაისელი მწვრთნელები ამირან ბობოხიძე, ჯუმბერ კვანტალიანი და სხვები, რომლებიც სულითა და გულით მოეკიდნენ მათთვის მინდობილ საქმეს. ნათქვამია, თუ გული გულობსო... და აი, ისინი — ახალგაზრდა ქუთაისელი მწვრთნელები — გახდნენ სპარტაკიადის ერთ-ერთი სენსაციის თანაავტორები. ამ ბოლო დროს მათ ქუთაისელთა საფარიკაო გვარდიაში თავი მოუყარეს იმედის მომცემ ნორჩ მუშკეტერებს, ასწავლეს საფარიკაო ანბანი, საფუძვლები, შემდეგ კი რამდენიმე შეჯიბრებაში გამოსცადეს. რა თქმა უნდა, ეს გზა ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. იყო მარცხიც, დროებითი იმედგაცრუებაც, მაგრამ კურსი, რომელიც მწვრთნელებმა აირჩიეს, სწორი აღმოჩნდა. დიახ, ქუთაისში მოღვაწეობა დაიწყეს ახალგაზრდა მწვრთნელებმა, ფოლადის იარაღს პირველად მოჰკიდა ხელი ასობით ნორჩმა მუშკეტერმა.

და მაინც, არ გვინდა ქუთაისელებმა ისე გაგვიგონ, თითქოს მათს ფარიკაობაში ყველაფერი რიგზეა. მათ კიდევ ზღვა სამუშაო ელით.

ახლა კი ქუთაისელ ჩემპიონთა შესახებ. მათ გვიჩვენეს შესაშური მონდომება, გამარჯვებისკენ შეუნელებელი სწრაფვა. რა ვუყოთ, თუ კი მათს ბრძოლის მანერაში ჯერ კიდევ იგრძნობა ბევრი ტექნიკურ-ტაქტიკური ნაკლი.

მკითხველს ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, რომ სპარტაკიადის ლაურეატების შეფასებისას ნაკლოვანებებზეც ვამახვილებთ ყურადღებას. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს გარკვეულ დახმარებას გაუწევს უდავოდ ნიჭიერ საფარიკაო ცვლას ოსტატობის შემდგომ სრულყოფაში.

მაშ ასე, ვულოცავთ წარმატებას სპარტაკიადის ჩემპიონებს — ქუთაისელ მოსწავლეებს თემურ ბობოხიძეს, გია კოსტავას, გია მეშველიანს და მათს აღმზრდელებს. იმედია, ისინი ასეთივე გამარჯვებებით გაგვახარებენ მომავალ შეჯიბრებებში.

**ა. გოგელია,**
**სპორტის ოსტატი.**




20 ივნისს ვოროშილოვგრადში ერთმანეთს შეხვდნენ „ზარია“ და „დნეპრი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

ანგარიში გახსნა ს. კუზნეცოვმა, შემდეგ დნეპროპეტროვსკელთა კარი მეორედ აიღო სემიონოვმა, ბოლოს კი იმავე ს. კუზნეცოვმა მესამე ბურთი გაგზავნა სტუმართა კარში.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილები

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 12 | 8 | 2 | 2 | 19—9 | 18 |
| „დინ.“ (თბ.) | 10 | 6 | 2 | 2 | 13—5 | 14 |
| ცსკა | 10 | 6 | 1 | 3 | 13—9 | 13 |
| „დნეპრი“ | 11 | 3 | 6 | 2 | 11—12 | 12 |
| „სპარტაკი“ | 10 | 4 | 3 | 3 | 10—9 | 11 |
| „დინ.“ (კ.) | 9 | 4 | 2 | 3 | 12—11 | 10 |
| „ზენიტი“ | 10 | 3 | 4 | 3 | 12—11 | 10 |
| „ტორპედო“ | 11 | 3 | 4 | 4 | 9—14 | 10 |
| „ნეფთჩი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 8—9 | 9 |
| „დინ.“ (მნ.) | 10 | 2 | 5 | 3 | 8—10 | 9 |
| „კარპატი“ | 11 | 3 | 3 | 5 | 8—10 | 9 |
| „არარატი“ | 10 | 2 | 4 | 4 | 11—8 | 8 |
| „დინ.“ (მ.) | 8 | 3 | 2 | 3 | 9—10 | 8 |
| „ყაირათი“ | 11 | 1 | 6 | 4 | 7—10 | 8 |
| „ლოკომოტ.“ | 10 | 2 | 4 | 4 | 7—11 | 8 |
| ასკ | 11 | 2 | 3 | 6 | 8—17 | 7 |

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 20 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 11 | 5 | 5 | 1 | 11—8 | 15 |
| ცსკა | 10 | 5 | 4 | 1 | 11—3 | 14 |
| „ტორპედო“ | 11 | 4 | 5 | 2 | 10—9 | 13 |
| „დინ.“ (კ.) | 9 | 4 | 4 | 1 | 11—6 | 12 |
| „ნეფთჩი“ | 10 | 4 | 4 | 2 | 9—6 | 12 |
| ასკ (როსტ.) | 11 | 4 | 4 | 3 | 12—10 | 12 |
| „კარპატი“ | 11 | 4 | 4 | 3 | 8—8 | 12 |
| „დინ.“ (თბ.) | 10 | 4 | 3 | 3 | 10—5 | 11 |
| „სპარტაკი“ | 10 | 3 | 4 | 3 | 10—8 | 10 |
| „დნეპრი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 10—10 | 9 |
| „ზენიტი“ | 10 | 2 | 5 | 3 | 11—14 | 9 |
| „დინ.“ (მ.) | 8 | 3 | 2 | 3 | 8—7 | 8 |
| „დინ.“ (მნ.) | 10 | 1 | 6 | 3 | 4—6 | 8 |
| „არარატი“ | 10 | 3 | 1 | 6 | 8—11 | 7 |
| „ლოკომოტ.“ | 10 | 3 | 0 | 7 | 8—20 | 6 |
| „ყაირათი“ | 11 | 0 | 4 | 7 | 8—18 | 4 |

## II ლიგა III ზონა

გუშინწინ გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 0:3, „დინამო“ (ბრიანსკი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:0, „ზვეზდა“ (ტირასპოლი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 1:2, „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:1, „სპარტაკი“ (ორიოლი) — „დილა“ (გორი) 1:1, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:2, „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლსკი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0.





# ალორძინებული სახეობა

ქუთაისში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი მოტოკროსში. ტურნირში რესპუბლიკის ოცი ქალაქისა და რაიონის ავტო-მოტო და სპორტულ-ტექნიკური კლუბების ნაკრები კოლექტივები მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თაოსნობით პროგრამაში კვლავ შეიტანეს ეტლიანი მოტოციკლებით რბოლა, რაც საქართველოში 12 წელია აღარ ჩატარებულა. ისიც მისასალმებელია, რომ იმატა შეჯიბრებაში მონაწილე ქალთა რიცხვმა — ამჯერად სტარტზე 12 მოტოციკლისტი გამოვიდა. სულ ჩემპიონატში 135 სპორტსმენი მონაწილეობდა.

სპორტულ-ტექნიკური კლუბების გუნდების შემადგენლობაში თითო ვაჟი და ჭაბუკი შედიოდა, ავტო-მოტოკლუბების კოლექტივები კი ორ-ორი ვაჟით, თითო ქალითა და ჭაბუკით იყო დაკომპლექტებული.

სპორტულ-ტექნიკური კლუბების საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მასპინძელთა ნაკრებმა დაისაკუთრა. II ადგილზე არიან ბოლნისის, III — ფოთის მოტოციკლისტები.

ავტო-მოტოკლუბების გუნდებს შორის ყველაზე ძლიერი გარდაბნის კოლექტივი აღმოჩნდა. II ადგილი სოხუმელებმა დაისაკუთრეს, III — თბილისის არმიელთა სპორტკლუბის წარმომადგენლებმა.

სპორტული და საგზატკეცილო მანქანებით რბოლებში პირველობა ცალ-ცალკე გათამაშდა.

გთავაზობთ პირადი ტურნირის მონაწილეთა ტექნიკურ შედეგებს.

**სპორტული მანქანები.** ქალები. ე. გოლოვანოვა (თბილისი, ასკ), რ. ფედიაევა (სოხუმი), მ. ტაქაიშვილი (გარდაბანი). **175 კბ სმ მოცულობის მანქანები. ჭაბუკები.** ა. ჯაშიაშვილი (თბილისი, ასკ), ვ. კოვალენკო, ვ. კისლინსკი (ორივე — თბილისი, ავტო-მოტოკლუბი). **ვაჟები.** ა. ნოგაიცევი, ვ. ველიკანოვი, ვ. ბესტაევი (ყველა — თბილისი, ასკ). **„350-ანები“. ვაჟები.** ვ. კოშკინი (თბილისი, ასკ), პ. კალჩენკო (გარდაბანი), ა. პასაროვი (თბილისი, ავტო-მოტოკლუბი). **ეტლიანი მოტოციკლები.** თბილისის ავტო-მოტოკლუბი (ბ. ბარსეგოვი, ს. ილიუქნი), თბილისის ასკ (ზ. შალიკიანი, ვ. კოშკინი), სამტრედია (მ. ღონღუა, რ. ბდოიანი).

**საგზატკეცილო მანქანები. „175-ანები“. ჭაბუკები.** ი. მელქონიანი (ბოლნისი), დ. ოჩიგავა (ქუთაისი). **ვაჟები.** ზ. გაბელია (ფოთი), ა. ოჩიგავა (ქუთაისი), ი. შჩუკინი (ბოლნისი). **„350-ანები“. ვაჟები.** ე. ნალივაიკო (ქუთაისი), არ. და ალ. ყალაიჩევები (ორივე — წალკა).

ო. კიკნაველიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

* * *

სურათებზე: ეტლიანი მოტოციკლებით შეჯიბრების მომენტი. წინ არიან გამარჯვებულები; დისტანციის ერთ-ერთ მონაკვეთზე.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტოები.

# ძნელი, ეტაპებად დაყოფილი გზა

კალათბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით, წლეულს საბჭოთა ქვეყანაში აღდგა სსრ კავშირის თასის გათამაშების ტრადიცია. ასპარეზობის მონაწილე გუნდებს გასავლელი აქვთ ძნელი, ეტაპებად დაყოფილი გზა.

ტურნირის პირველ ეტაპზე რესპუბლიკური თასის გათამაშებები იწყობა (მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენებმა თავიანთი ქალაქების თასებზე იასპარეზეს). ამ ტურნირებში გამარჯვებული კოლექტივები შექმნიან ზონებს (გათამაშების მეორე ეტაპი). სულ 7 ასეთი ზონაა — შუა აზიისა და ყაზახეთის (მონაწილეობენ: ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი და ტაჯიკეთი), ამიერკავკასიისა და მოლდავეთის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდავეთი), ბალტიისპირეთისა და ბელორუსიის (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია), უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, მოსკოვისა და ლენინგრადის ზონები. უკრაინის ზონიდან თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე ორი კოლექტივი გადის, დანარჩენებიდან — თითო.

მეორე ეტაპზე გამარჯვებული კოლექტივები (სულ 8) განაწილდებიან ორ — „ა“ და „ბ“ ჯგუფებად (ეს იქნება მესამე ეტაპი). „ა“ ჯგუფში გამარჯვებული კოლექტივი თასის გათამაშების მეოთხე ეტაპზე შეხვდება „ბ“ ჯგუფში II ადგილზე გასულ გუნდს და პირიქით. ბოლოს ის კოლექტივები, რომლებიც წარმატებით გაივლიან მეოთხე ეტაპს, ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

მეორე ეტაპიდან მოყოლებული ფინალამდე შეხვედრები ორ წრედ ჩატარდება, შინ და მეტოქის მოედანზე.

პირველი ეტაპის მატჩები უკვე დამთავრდა. ივნისში გაირკვევა ზონებში გამარჯვებული კოლექტივების ვინაობა. მესამე ეტაპის მატჩები გაიმართება ივლისში, მეოთხე და მეხუთე ეტაპებისა კი აგვისტოში.

როგორც ცნობილია, საქართველოს თასი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა კოლექტივმა მოიგო. ამას წინათ ჩვენმა კალათბურთელებმა ზონალურ ტურნირში ბაქოს „მეტროპოლიტენის“ გუნდს უმასპინძლეს და გაიმარჯვეს საკმაოდ დიდი ანგარიშით — 111:71 (53:35). თბილისელთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ბიჭიაშვილი და მაგრაქველიძე, რომლებმაც თავიანთ კოლექტივს 23-23 ქულა შესძინეს. ბაქოს გუნდში თავი გამოიჩინა ლიპანოვმა — 22 ქულა.

შედგა ამიერკავკასიის ზონის კიდევ ერთი მატჩი ბაქოს „მეტროპოლიტენსა“ და ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდს შორის. გაიმარჯვეს აზერბაიჯანის კალათბურთელებმა — 82:78 (29:32). საპასუხო მატჩს ერევნის გუნდი ამ დღეებში ბაქოში გამართავს. ბაქოში მოუწევს თამაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდსაც.

რაც შეეხება ზონალური ტურნირის მეოთხე მონაწილეს — მოლდავეთის გუნდს — მან უარი თქვა ასპარეზობაში მონაწილეობაზე და, ცხადია, წაგება ჩაეთვალა.

ტარდება შეხვედრები სხვა ზონებშიც. ბალტიისპირეთის ზონაში წარმატებით იბრძვის კაუნასის „ჟალგირისი“, რომელმაც გუშინწინ სტუმრად აჯობა ტარტუს „კალევს“ — 87:30. „ჟალგირისმა“ პირველი წრის ყველა მატჩი მოიგო.

* * *

გუშინწინ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა მეორე შეხვედრა ჩაატარეს, ამჯერად — ერევანში. ისინი ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის გუნდს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 71:48. ახლა ჩვენი გუნდი ერევნელებს თბილისში უმასპინძლებს.

ნ. ახვლედიანი.

# ჟენევიდან პირდაპირ მიუნხენში

გუშინწინ ცენტრალურმა ტელევიზიამ ჟენევიდან ევროპისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების საინტერესო საკალათბურთო მატჩის ვიდეოჩანაწერის ტრანსლაცია მოაწყო. ეს მატჩი ფიბა-ს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის ერთი ნაწილი იყო. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ამ შეხვედრის ანგარიში და ბრძოლაც საკუთარი თვალით ნახეს.

უცხოეთის პრესა ძალიან აქებს საბჭოთა კალათბურთელების თამაშს და მათ ევროპის ნაკრების ბურჯს უწოდებს. მართლაც, ოთხივე საბჭოთა სპორტსმენი (მეხუთე — ა. ბელოვი — ზაგრების მატჩში დაშავდა და ჟენევაში არ გამოსულა) დიდებულად თამაშობდა როგორც პირველ, ისე მეორე შეხვედრაში. ს. ბელოვი, მ. პაულაუსკასი, ა. ჟარმუხამედოვი და ი. ედეშკო „ძველი სამყაროს“ ნაკრების ორი შთამბეჭდავი გამარჯვების ღირსეული მონაწილენი არიან.

ჟენევის მატჩში (ევროპელებმა იგი მოიგეს — 88:61) ევროპის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშეს: ჩოსიჩმა, პლეჩაშმა (ორივე — იუგოსლავია), პაულაუსკასმა, ს. ბელოვმა (ორივე — სსრ კავშირი) და ესპანელმა ლაიკმა (ძირითადი ხუთეული), აგრეთვე, ჟარმუხამედოვმა, ედეშკომ (ორივე — სსრ კავშირი), სიმონოვიჩმა (იუგოსლავია), ზედნიჩეკმა (ჩეხოსლოვაკია), ფლაბორეამ (იტალია), ხრისტოვმა (ბულგარეთი).

აღსანიშნავია, რომ ამერიკელებმა ევროპულ ტურნირზე არც ისე ძლიერი გუნდი გამოგზავნეს. კალათბურთის ფუძემდებელთა კოლექტივში არც ერთი ამას წინანდელი ოლიმპიელი არ იყო. ამერიკის გუნდი ჟენევის მატჩში ამ შემადგენლობით თამაშობდა: ტერი, ბასტიონი, გარდნერი, ფრიმენი, სედერბერგი, ჯონსი, მორისი, მარენი, ფრეგერი.

საბჭოთა კალათბურთელებმა დაამთავრეს თამაში ევროპის ნაკრებში. ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ არც მადრიდის მატჩში და არც მეოთხე, დასკვნით შეხვედრაში, რომელიც პარიზის გარეუბანში გაიმართება. გუშინ საბჭოთა ხუთეული ჟენევიდან მიუნხენს გაფრინდა. სადაც სსრ კავშირის ნაკრებს შეუერთდება. 24 ივნისს მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში კალათბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი დაიწყება.

**ჩოხატაური**

რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ჩოხატაურის 1-ლი საშუალო და ფარცხმის რვაწლიანი სკოლების გუნდებმა.

დ. გურგენიძე,
სოფელ კოხნარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

# მელნიკს მენისმა აჯობა

ბერგამო, 20 ივნისი. აქ გაიმართა მძლეოსან ქალთა საერთაშორისო ტურნირი. სარბიელზე გამოვიდნენ იტალიის, ჰოლანდიის, სსრ კავშირის, საფრანგეთის, რუმინეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების სპორტსმენები — ოლიმპიური ნაკრები გუნდების კანდიდატები.

საბჭოთა კავშირის მძლეოსნებმა პროგრამის სახეობათა უმეტესობაში დამაკმაყოფილებელი შედეგებით იმარჯვეს. სიმაღლეზე ხტომაში სსრ კავშირის რეკორდსმენმა ლაზარევამ 185 სმ სიმაღლის დაძლევის შემდეგ 190 სანტიმეტრს შეუტია და მიზანთან სულ ახლოსაც იყო, მაგრამ ამჯერად იმედი არ გაუმართლდა. იტალიელებმა სიმეონიმ და მაზენმა 178-178 სმ გადალახეს და II და III ადგილები დაიკავეს.

ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენს, ერევნელ მელნიკს მწვავე ბრძოლა გაუმართეს რუმინელებმა მენისმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა მანოლიუმ. საბოლოოდ გამარჯვება მენისს დარჩა — 61,08 მ. მელნიკი II ადგილს დასჯერდა — 60,86. III ადგილზეა მანოლიუ — 59,88, ზომელმაც დანილოვას (სსრ კავშირი) 1,98 მ მოუგო.

100 მეტრზე რბენაში ბადალი არ ჰყავდათ ჟარკოვასა და ბუხარინას. სსრ კავშირის სპრინტერებმა ერთნაირი შედეგები (11,8) აჩვენეს. პირველობა ჟარკოვას დარჩა. 200 მეტრზე რბენაში ჩისტიაკოვას (სსრ კავშირი) იუგოსლაველმა პავლოჩიჩმა (24,2) ფინიშთან 0,1 წამით მიასწრო.

საბჭოთა მძლეოსნებმა მოიგეს 400 (კოლესნიკოვა — 54,5) და 800 მეტრზე (პანტელოვა — 8.07,6) რბენა, 4×100 მეტრზე ესტაფეტა — 44,2.

1500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა იტალიელმა პინიმ — 4.12,4, ხოლო სიგრძეზე ხტომაში — მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ვისკოპოლეანუმ (რუმინეთი) — 612. მას 2 სანტიმეტრით ჩამორჩა რინგა (სსრ კავშირი).

ბირთვის კვრასა და 100 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის მძლეოსნებმა იმარჯვეს. მსოფლიო რეკორდსმენმა ჩიჟოვამ ბირთვი ამჯერად 19,40 მეტრზე ჰკრა ხოლო ანისიმოვამ 100 მეტრზე თარჯრბენში 13,7 წამი აჩვენა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოს ჩემპიონი — ძდგილობრივი „ლოკომოტივის" რეგბისტთა გუნდი საკავშირო პირველობის მატჩში მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივს შეხვდა.

სურათზე: „ლოკომოტივისა" და მსი-ს შეხვედრის მომენტი.

თ. გელაშვილის ფოტო.

# ალბერტო დემიდი დარწმუნებულია გამარჯვებაში

ავანგარდული ნიჩბოსნობის მოყვარულები უკვე შეეჩვივნენ, რომ უდიდეს შეჯიბრებებში მისი მსუბუქი, მოსდენილი ნავი პირველი კვეთს ფინიშის მიჯნას. მაღალი, დაკუნთული სპორტსმენი ფინიშის შემდეგ ნიჩაბს აღარ უსვამს, ხელებს მაღლა სწევს, გგონია ტარზანივით შეჰყვირებს და ყველას აუწყებს თავისი გამარჯვების ამბავსო.

ეს კაცი არგენტინელი ალბერტო დემიდია. 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში სამამულო, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „უვარგისი" ნავით იგი მამაცურად შეეჭიდა ფავორიტებს, მაგრამ მაშინ არც ოსტატობა ჰყოფნიდა და არც გამოცდილება, რის გამოც ფინიშთან მხოლოდ მეოთხე იყო. მაინც, როგორც ჰყვებოდა, „კინაღამ კბილებით გამოჰგლიჯა მეტოქეებს ბრინჯაოს მედალი". 1968 წლის ოლიმპიადაში იგი უკვე მესამე იყო. 1969 წელს ალბერტო ევროპაში ჩავიდა კონტინენტის ღია ჩემპიონატზე და ყველას გაუსწრო, მათ შორის, ოლიმპიურ ჩემპიონს, ჰოლანდიელ ვინეზეს. 1970 წელს დემიდიმ მსოფლიო პირველობა მოიგო, 1971 წელს კი ისევ ევროპის ჩემპიონატში აჯობა ყველას.

„ახლა მხოლოდ ერთი ნიჩბოსანი მიტოლდება — ვიაჩესლავ ივანოვი, — განაცხადა მსოფლიო ჩემპიონმა ახალ ოლიმპიურ სეზონში, — და მიუნჰენში წავალ ოქროს ოლიმპიური მედლის მოგებაზე ოცნებით".

შესაძლოა დემიდი გახდეს კიდეც ოლიმპიური ჩემპიონი. ამჟამად იგი, მართლაც, ყველაზე ძლიერია. მაგრამ ვ. ივანოვს, რომელმაც ტოკიოში მოუგო მას და შემდეგ დიდი სპორტიდან წავიდა, ალბერტო ჯერ კიდევ ვერ გაუტოლდა. მოსკოველმა ოქროს მედლები მოიპოვა სამ ოლიმპიურ თამაშებში — მელბურნში, რომსა და ტოკიოში, 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონი იყო, ოთხჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონის ტიტული. ვერც ერთი ნიჩბოსანი ვერ დაიტრაბახებს ამდენი გამარჯვებით.

დემიდი თამამად ლაპარაკობს თავის ოსტატობაზე და გული მოსდის, როცა ვეტერანს ეძახიან. „არა, ჩემი სპორტული კარიერა ჯერ არ დამთავრებულა, — მიაჩნია 28 წლის სპორტსმენს. — მე დიდების კიბის მხოლოდ შუა საფეხურზე ვდგავარ და გავიმარჯვებ მიუნჰენში. თუმცა, როგორიც უნდა იყოს შედეგი, სპორტულ მწვერვალების შტურმს განვაგრძობ".

დემიდი ამას საქმითაც ამტკიცებს. თანამემამულეთა აზრით, იგი შეუპოვრად ვარჯიშობს ყოველდღე სამ-ოთხ საათს. „კოკა-კოლას" ფირმის ფილიალმა როსარიოში, ქალაქში, რომელიც 400 კილომეტრითაა დაშორებული ბუენოს-აირესს, თავის მოსამსახურეს, გამოჩენილ ნიჩბოსანს ვარჯიშისთვის კარგი პირობები შეუქმნა. მას ყოველ საღამოს ათავისუფლებენ სამსახურიდან. ალბერტო მიდის მდინარე პარანაზე, სადაც დაუღალავად დააქანებს თავის ნავს.

როგორც თვითონ დემიდი ჰყვება, იგი წყნარ ცხოვრებას ეწევა და მთელ დროს სპორტს უთმობს...

საინტერესოა, რომ ცნობილი ნიჩბოსნის კარიერა ცურვით დაიწყო. „მამამ ოთხი წლისას დამაწყებინა ცურვა. 15 წლისა ვიყავი, როცა პირველი სპორტული წარმატება მოვიპოვე — 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალაქის ჩემპიონი გავხდი. წყლის სიყვარულმა ნიჩბოსნობაზე შეუმჩნევლად გადამიყვანა. სრულიადაც არ ვნანობ ამას..."

... პარანა მთელი წლის მანძილზე არ იყინება და მთელი წლის განმავლობაში მის წყალს სერავს ალბერტო დემიდის ნავი. ახლა ალბერტოსთვის ნავებს უკვე საზღვარგარეთ ყიდულობენ. დღეს მისი კურსი მიუნჰენის ოლიმპიადაა.

ა. ნიკოლაევი.
(საკდესის კორ.).

ბუენოს-აირესი.

## მათი კურსი — ოლიმპიადა




ა. ერაძის ნახატი.

# ვინ დაამარცხებს დენ გეიბლს?

გარეგნულად ეს ოცდაორი წლის ჭაბუკი თითქოს არაფრით გამოირჩევა თანატოლებისგან — საშუალო ტანისაა, ჩასხმული, ოდნავ დატალღული ხორბლისფერი თმა აქვს. სათვალეს რომ გაიკეთებს, ჩვეულებრივი სტუდენტია, ათასობით რომ შეგხვდებათ ყველა ქვეყანაში. და მაინც, ამერიკის შეერთებულ შტატებში მას სუპერმენის სახელი აქვს გავარდნილი, თავის მშობლიურ ქალაქში კი, ვატერლოოში, ეს ჭაბუკი თითქმის ეროვნულ გმირადაა მიჩნეული. მისი სახელია დენ გეიბლი. მან სამ წელიწადში ზედიზედ 181 გამარჯვება მოიპოვა საჭიდაო ხალიჩაზე და მარშან მსოფლიო ჩემპიონობა დაისაკუთრა თავისუფალი სტილის ათლეტთა შორის.

ამერიკელთა ნაკრების მწვრთნელს ბილ ფერელს დენი მთავარ იმედად მიაჩნია ოლიმპიური თამაშებისთვის.

მიუხედავად ამისა, დენი დაუმარცხებელი როდია. თავისუფალი სტილის უძლიერესი მოჭიდავეები ჰყავთ საბჭოთა კავშირსაც და ბულგარეთსაც, თურქეთსაც და იაპონიასაც, უნგრეთსაც და ირანსაც.

გეიბლი დღეში ხუთ-შვიდ საათს ვარჯიშობს, კვირაში შვიდჯერ. ჯერ კიდევ, დღის რეჟიმი, კოლეჯში მეცადინეობის ცხრილიც კი, ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურება — წვრთნას და ხალიჩაზე გამოსვლას. ჭიდაობისთვის დენი უარს ამბობს კინოსა და ტელევიზორზე, ვარჯიშობს კროსში დარსა და ავდარში, ერთ წუთს არ აძლევს თავს მოსვენების უფლებას.

დენის წარმატება უდიდესი შრომის ნაყოფია. დენი მუდამ კარგად ნავარჯიშევია. სოფიის მსოფლიო ჩემპიონატის დროს მან ისე დაქანცა ოქროს მედლის პირველი პრეტენდენტი 68 კგ-მდე წონით კატეგორიაში, იაპონელი ვადი, რომ ეს უკანასკნელი, მისდა გასაოცრად, ბოლოს და ბოლოს ბეჭებზე გაკრული აღმოჩნდა.

„ოლიმპიადისთვის ყურადღებას პირველ ყოვლისა ფიზიკურ მომზადებას მივაქცევ, — მითხრა გეიბლმა წლეულს, როცა საბჭოთა ნაკრები ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო სტუმრად. — ახლა ბევრ მოჭიდავეს დაახლოებით ერთნაირი ილეთები აქვს მომზადებული და ამიტომ მიმაჩნია, რომ ორთაბრძოლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ძალას მიენიჭება".

ჩვეულებრივ, სპორტსმენებს მაინცდამაინც არ უყვართ მომავალ შეჯიბრებებზე ლაპარაკი და წარმატების წინასწარ დაგეგმვა. დენი სულ სხვაა: „მე უნდა გავხდე ოლიმპიური ჩემპიონი, ვინც უნდა იდგეს ჩემს გზაზე. მხოლოდ ოქროს მედლით შემიძლია გადავუხადო მადლობა იმ ხალხს, ვინც მეხმარებოდა მზადებაში, წვრთნაში, პირველ ყოვლისა კი ჩემს მშობლებს, რომელთაც ჩემი წარმატება ძალიან ძვირი უჯდებათ". ამერიკის გუნდის მწვრთნელებმა იციან აიოვის შტატის ხელმოკლე კომივოიაჟერის ვაჟის პატივმოყვარეობის ამბავი და მნიშვნელოვანი სტარტების წინ ყოველთვის რად აქეზებენ თავიანთ იმედს.

სხვა წონითს კატეგორიებში ამერიკელი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები იმდენად მტკიცედ ვერ გრძნობენ თავს. იმავე ფერელმა ერთხელ ხუმრობით თქვა: „ერთი — ოქრო, ერთი — ვერცხლი, ერთი — ბრინჯაო. დანარჩენი ტურისტები არიან". როცა ვთხოვე გუნდის ფავორიტები დაესახელებინა, მწვრთნელმა ჩამოთვალა: დენ გეიბლი, კრის ტეილორი, რიკ სანდერსი, დონ ბიმი, უეინ უელსი...

კრის ტეილორთან ხუმრობა არ შეიძლება, — ასე იფიქრებთ პირველივე შეხვედრისთანავე. წარმოიდგინეთ ახალგაზრდა კაცი, სიმაღლით 190 სანტიმეტრი და წონით... 190 კილოგრამი. შარშან მას ოთხჯერ შეხვდა საბჭოთა ათლეტი ალექსანდრე მედვედი — შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი. მედვედმა ოთხივე შეხვედრა მოიგო და ჯამუდმებით ჩაიდა: წელში გაწყვეტილი ამ „კიდობნის" აქეთ-იქით ტრიალით.

შორიდან სასაცილო საყურებელია, კრისი ხალიჩაზე რომ დაბობღავს და ვეება მუცელი უთახთახებს. სამაგიეროდ, მისი მეტოქეა შავ დღეში. მაგალითად, თბილისის ტურნირის დროს ერთ-ერთმა მოჭიდავემ ოდნავ მოადუნა ყურადღება და ამერიკელმა გოლიათმა იგი მყისვე ლავაშივით გააკრა ხალიჩაზე.

უზარმაზარი წონა კრისს ოდნავაც არ აწუხებს. ამბობენ, არმიაში გაწვევის დროს ორ წუთში გამოუშვეს პუნქტიდანო. აწონეს და მყისვე გაათავისუფლეს, რადგან ასეთ გოლიათს ვერც ერთ ნაწილში ვერ გაამწესებდნენ. რამდენიმე კომპანია თავისი სურვილით უკერავს კრისს 68 ზომის ტანსაცმელსა და დაახლოებით 56 ზომის ფეხსაცმელს.

რიკ სანდერსი და დონ ბიმი ერთ წონით კატეგორიაში — 55 კგ-მდე — გამოდიან და დაახლოებით თანაბარი ძალის მოჭიდავეებიც არიან. არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საბჭოთა მწვრთნელი სერგეი პრეობრაჟენსკი ჰყვებოდა:

— ხალიჩასთან მივედი და ვხედავ, სანდერსი უკვე აგებს სამ ქულას, ხუთ ქულას. ვიფიქრე, წასულია ამისი საქმე-მეთქი, მაგრამ გამობრუნება ვერ მოვასწარი, რომ დიქტორმა გამოაცხადა: გაიმარჯვა რიკ სანდერსმაო. ასეთ მეტოქესთან ერთი წამითაც კი არ შეიძლება მოდუნება, თავის დამშვიდება.

დონ ბიმი მხიარული ჭაბუკია. ერთხელ, როცა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის გუნდები მინეაპოლისიდან კლივლენდისკენ მიფრინავდნენ, მან კინაღამ გული გაუხეთქა სტიუარდესას. ბიმმა მას მოჭიდავეებზე მიუთითა და უთხრა: ესენი თვითმფრინავების გატაცების ცნობილი სპეციალისტები არიან. აბა შეხედეთ, რამოდენა ყურები აქვთო...

სამაგიეროდ, ხალიჩაზე ბიმს ხუმრობა არ უყვარს. იგი პირველი წამიდან უტევს და შეხვედრის ბოლომდე ასე აგრძელებს

უეინ უელსი მსოფლიო ჩემპიონი იყო 1970 წელსაც ედმონტონში (კანადა). მერე ტრავმებმა შეუშალა ხელი და უნდოდა საერთოდ დაენებებინა სპორტისთვის თავი, მაგრამ თავი შეიკავა და მოიგო ჯერ ერთი ტურნირი, მერე მეორე. ამასთან, ოკლაჰომის შტატის უნივერსიტეტში მას სპეციალური სტიპენდია დაენიშნა, ცოლმა კი მასწავლებლის ადგილი იშოვა. ფინანსური პრობლემები დროებით მოიხსნა და უეინი ისევ გამოდის აშშ-ს ნაკრებში. იგი არაფერს ამბობს მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ ნებისმიერი მედალი კარგი სამუშაოს შოვნაში ძალიან დაეხმარება.

ხუთ ამერიკელ მოჭიდავეს წარმატების იმედი აქვს. მწვრთნელს მიაჩნია, რომ მათგან სამი მაინც მიიღებს მედლებს.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).

ნიუ-იორკი.

## შეამოწმეთ ბილეთები!

20 ივნისს დონის როსტოვში „სპორტლოტოს" XVII ტირაჟი მოეწყო. იღბლიანი აღმოჩნდა ეს ნომრები: 9 (ციდაობა), 11 (ველოსპორტი), 16 (ტანვარჯიში), 22 (ციგურებით სწრაფრბენა), 45 (ფეხბურთი), 46 (ჰოკეი).

## ასეთი ამბებია-72

● ამერსფორტი, 20 ივნისი. ჰოლანდიის ამ ქალაქის გარეუბანში გაიმართა ევროპის აფროსანთა ჩემპიონატი ოლიმპიურ, „ფინის" კლასში. ოქროს მედალი მოიხვეჭა გდრ-ის წარმომადგენელმა კ. შრედერმა, რომელსაც ექვსი რბოლიდან ხუთი საუკეთესო გაცურვის ჯამში 33,7 საჯარიმო ქულა დაუგროვდა. აღსანიშნავია, რომ ეს 25 წლის სპორტსმენი პირველად გახდა კონტინენტის ჩემპიონი. სახელგანთქმული შვედი აფროსანი თ. ლუნდკვისტი ამჯერად II ადგილით დაკმაყოფილდა (40,7 ქულა). მესამე პრიზიორია მ. ოლინი (შვეცია) — 44,4.

● ვარშავა, 20 ივნისი. თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვეს უნგრეთის გუნდმა (12104 ქულა) და პოლონელმა გ. პეციაკმა (4315). სტარტზე ლატვიის ნაკრებიც გამოვიდა და საკმაო წარმატებითაც: გუნდმა 12085 ქულა დააგროვა და II ადგილი დაიკავა, ხოლო პირად ჩათვლაში მისმა საუკეთესო წარმომადგენელმა ჩერნიავინმა მესამე შედეგს მიაღწია — 4162 ქულა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ცხოვრება

ძალოსნობა. „ლოკომოტივის" სტადიონი. 23 ივნისი. ძალოსანთა რესპუბლიკური კონკურსის ფინალი. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04557